GEORGIAN-GREEK "MYTHOLOGICAL RELATIONS" ON THE EXAMPLE OF ONE WEST GEORGIAN FOLK FESTIVAL

ქართულ–ბერძნული „მითოლოგიური ურთიერთობები" ერთი დასავლურ ქართული ხალხური დღესასწაულის მაგალითზე

Nino Ghambashidze
Ph.D. in History
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino.ghambashidze@tsc.edu.ge
+995 593 57 30 75

Abstract

Studying one of the Western Georgian folk holidays - Tedoroba, we came to a certain point of view that its "strangeness" can be explained by the influence of Greek culture.

Tedoroba was a famous West Georgian fertility festival. On this holiday, people especially prayed for the abundance of domestic animals. According to materials that have come down to us, this festival took place in a special form in Guria (one of the regions of Western Georgia). This "strange" ritual was used to reproduce horses. Judging by the scientific literature available to us, this so-called "strange" ritual has not been studied and, therefore, is a novelty.

The participants of this ritual were only mail. This folk festival in Svaneti, Guria, and Samegrelo was dedicated to the vigor and propagation of horses. The study of this so-called "strange" festival brought us to the colonization of the Black Sea by Greeks, and Greek mythology. In my opinion, this holiday may be connected with Poseidon who is believed to give birth to horses from water.

Based on Georgian and foreign historical, archaeological, ethnological, religious, and mythological literature, we have come to a certain point of view that in the mentioned holiday there are traces of pagan Greek religious and mythological thinking associated with the sea, Poseidon, and related religious beliefs.

Keywords: Georgian-Greek relations, mythology, sea, horses, Poseidon.

ნინო ღამბაშიძე
ისტორიის დოქტორი
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino.ghambashidze@tsc.edu.ge
+995 593 57 30 75

აბსტრაქტი

თედორობა სიმრავლე–ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ცნობილი დასავლურ ქართული ხალხური დღესასწაული იყო. ამ დღეს ხალხი ღმერთისგან განსაკუთრებით შინაური ცხოველების სიმრავლეს და უვნებლობას ითხოვდა. ეს დღე, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, გამორჩეული სახით იმართებოდა გურიასა და სამეგრელოში, სადაც ცხენების გამრავლებისთვის თავისებური რიტუალი სრულდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტარატურის მიხედვით ეს „უცნაური“ რიტუალი არ შესწავლილა, რაც თავისთვად სიახლეს წარმოადგენს.

რიტუალში მონაწილეოდნენ მხოლოდ მამაკაცები. ეს ხალხური დღესასწაული სვანეთში, გურიასა და სამეგრელოში ცხენების ნაყოფიერება-გამრავლებას ეძღვნებოდა. ამ, ასე ვთქვათ „უცნაური“რიტუალის შესწავლამ მიგვიყვანა ბერძნულ მითოლოგიამდე და ბერძნების მიერ შავი ზღვის კოლონიზაციის საკითხამდე.

კვლევის შედეგად, რომელიც ეყრდნობა, როგორც სამამულო, ასევე, უცხოურ ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, რელიგიათმცოდნეობით, მითოლოგიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას, გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ დღესასწაული წინაქრისტიანული ბერძნული რელიგიური და მითოლოგიური შეხედულებების რელიქტის შემცველი უნდა იყოს, რაც ზღვას, წყალს მასთან დაკავშირებულ რელიგიურ შეხედულებებს და შესაძლოა პოსეიდონის თაყვანისცემას უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: ქართულ - ბერძნული ურთიერთობები, მითოლოგია, ზღვა, ცხენები, პოსეიდონი.

შესავალი

ბერძნულ-ქართული ურთიერთობები მრავალმხრივაა შესწავლილი სამამულო სამეცნიერო ლიტერატურაში. აგრეთვე, მრავალი საგულისხმო ნაშრომი მიუძღვნეს შავიზღვისპირეთის კოლონიზაციას, როგორც ქართველმა, ასევე, უცხოელმა მეცნიერებმა (ო. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, მ. ინაძე, ნ. კახიძე, ა. გრივზი, დ. ბრაუნდი და სხვ. მრავალი). მათმა კვლევებმა შესაძლებელი გახადეს გარკვეულწილად გაგვეაზრებინა დღემდე შეუსწავლელი დასავლურ ქართული დღესასწაულის-თედორობის, ერთი შეხედვით უცნაური რიტუალი, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ და რომლის დროსაც რიტუალური პურისგან გამომცხვარი ცხენის ფიგურები ღვინოში იფლობოდა. რიტუალის მონაწილე მამაკაცები პირით იღებდნენ ამ ფიგურებს, ჭამდნენ, ჭიხვინებდნენ და ცხენებს განასახიერებდნენ. ეს დღესასწაული სვანეთში, სამეგრელოსა და გურიაში ცხენების სიმრთელე-გამრავლებისადმი იყო მიძღვნილი. ამ ე.წ. უცნაური დღესასწაულის კვლევამ მიგვიყვანა ბერძნების მიერ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციამდე, ბერძნულ მითოლოგიამდე. კვლევის შედეგად წარმოიშვა მოსაზრება,

რომ ხსენებული დღესასწაული შესაძლოა უკავშირდებოდეს პოსეიდონს, რომელსაც მითოლოგიურად წყლიდან, ზღვიდან ცხენის დაბადება უკავშირდება.

მეთოდები

წინამდებარე საკითხის კვლევა პირველ ყოვლისა შედარებითი მეთოდის გამოყენებით და ინტერდისციპლინურ (ისტორია, არქეოლოგია, რელიგიის ისტორია, მითოლოგია, ეთნოლოგია) სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით განხორციელდა. კვლევისას გამოყენებული იყო საარქივო ეთნოგრაფიული მასალა.

შედეგები

ბერძნულ-ქართული ურთიერთობების, როგორც ისტორიულ-არქეოლოგიური, ასევე, მითოლოგიური კუთხით შესწავლამ საშუალება მოგვცა გვევარაუდა, რომ:

- თედორობის მეგრულ-გურული რიტუალი ფაქტობრივად წყლიდან ცხენების დაბადებას განასახიერებს.
- მიუხედავად რიტუალის არასრული „სცენარისა“, იგი ნათლად გვიამბობს ამბავს, თუ როგორ ამოდიან წყლიდან ცხენები და ამჟღავნებენ თავიანთ ველურ, მოუთვინიერებელ ბუნებას ანუ არიან ახლად დაბადებულები და მოუთვინიერებლები, რასაც რიტუალის მონაწილეები განასახიერებენ. ამდენად, მივიჩნიეთ, რომ რიტუალი თხრობაა მითის და მის სარკისებურ ასახვას უნდა წარმოადგენდეს.
- ვინაიდან, ხსენებული ორივე რეგიონი ზღვისპირეთში და ბერძნული გავლენის სფეროში მდებარეობდა, შესაბამისად ზღვას მათ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ზღვის ღმერთი-პოსეიდონი კი მათთვის უდაოდ მნიშვნელოვანი ღვთაება უნდა ყოფილიყო. თუმცა ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემებით დღეს ეს აღარ ჩანს.
- თავის მხრივ, პოსეიდონს მიეწერებოდა ზღვიდან, წყლიდან ცხენის გაჩენა და ველური ცხენების მოთვინირება.
- ამდენად, ჩვენი ვარაუდით თედორობის ეს რიტუალი წყლიდან, ზღვიდან ცხენების გაჩენას უნდა უკავშირდებოდეს, რომლის განმგებელი პოსეიდონი იყო. თუმცა წყლიდან ცხენის დაბადების მითოლოგიური მოტივი აჭარის მკვიდრთათვის უცხო არ იყო.

ქართულ–ბერძნული ურთიერთობები, რომ მრავალ საუკუნეს ითვლის ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ასევე ცნობილია, რომ ამ ურთიერთობების კვალი აშკარაა ქართულ კულტურაშიც. ამ კუთხით, რამდენად შეიძლება, რომ ეს ურთიერთობები მითოლოგიასა და ხალხურ სარწმუნოებაშიც ასახულიყო? მოცემული საკითხის ერთ–ერთ ასპექტს ხმელთშუაზღვის რეგიონთან მიმართებაში ამგვარად ხედავენ ჯოვანი ბოფა და ბარბარა ლეონე: ლეონე: “კულტები და მითები ხშირად განიხილებიან, როგორც ბერძენთა უცხოეთში მყოფობის მაგალითები უძველეს ხმელთაშუაზღვის რეგიონში. მითოლოგიური ამბის განსაკუთრებული სიუჟეტი, ღმერთის დამახასიათებელი ეპითეტი ან გმირის სპეციფიკური თვისებები ნამდვილად შეიცავენ მნიშვნელოვან მინიშნებებს საბერძნეთის ფარგლებს გარეთ ბერძენთა მყოფობის შესახებ, განსაკუთრებით ორი უმთავრესი კონცეპტის კუთხით: 1. მითები თავად არ მოგზაურობენ, ისინი გადააქვთ ადამიანებს ან გარკვეულ წილად მიგრირებენ ჭურწლის მეშვეობით. 2. ღვთაებები და გმირები ყოველთვის დაკავშირებული არიან სხვადასხვა ბერძნული თემის ადგილობრივ

კულტურასთან და ისინი, როგორც წესი, ასევე მათი მითოსური სამყაროს რთული, კომპლექსური დამუშავებისა და განსაზღვრის შედეგი არიან, რაც მათი იდენტობის შექმნის, კონსტრუირების ბაზისურ ელემენტს წარმოადგენს.“ (Giovanni Boffa, Barbara Leone, 2017, p. 381)(Euboean cults and myths outside Euboea:Poseidon and Briareos/Aigaion Giovanni BOFFA, Barbara LEONE, 2017 Art, გვ. 381) ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „მითი, როგორც ისტორიული რეალობის ამსახველი წყარო რთული და სპეციფიკურია,“ ვინაიდან იგი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და თაობებს ზეპირად გადაეცემა „და ჩვენამდე უმეტესწილად გვიანდელი დანამატებით და პოეტურად გააზრებული ვერსიებითაა მოღწეული.“ ამდენად, მეცნიერთათვის რთულია იმის განსაზღვრა თუ რომელი ისტორიული ფაქტია ასახული მითში თუ ეპიკურ ნაწარმოებში. პატივცემული მეცნიერი იქვე დასძენს, რომ მითის, როგორც რეალობის შემცველი ტექსტის განხილვისას სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, „თუმცა უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ...იგი ინახავს მოგონებას რაღაც ძალიან დიდი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ. ჩვეულებრივ ეს ისეთი ისტორიული მოვლენებია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ხალხური პოეზიის ისტორიის სპეციალისტები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ ყოველი ხალხის ისტორიაში არის მომენტები, რომლებიც აღელვებენ საერთო სახალხო ფანტაზიას და ამიტომაც აისახებიან ლირიკულ–ეპიკურ სიმღერებში.“ ო. ლორთქიფანიძეს მოყავს ა. ვესელოვსკის სიტყვები, რომ „ხალხური პოეზია თავისებური ისტორიული სამსჯავროა“ და ასკვნის, რომ სწორედ ამის გამოა აუცილებელი განისაზღვროს ის ისტორიული ფაქტი, რომელიც დიდ ეპიკურ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად, კერძოდ კი არგონავტიკასო (ო. ლორთქიფანიძე, 2002, 145, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი). (ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, 2002, გვ. 145) ქართულ სინამდვილეში მითისა და ისტორიული ფაქტის ურთიერთმიმართების საკითხი კიდევ უფრო მჭიდროა ანდრეზის შემთხვევაში. როგორც ცნობილია, ანდრეზი ემსახურებოდა თემის ისტორიის არდავიწყებას, მის ერთიანობას, ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას და ხალხურ სამართალში ნორმატიული კანონების ფუნქციას ასრულებდა. ანდრეზი, როგორც მას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თქმულება–გადმოცემას უწოდებენ, არის, ერთი მხრივ, ამ საზოგადოების მხატვრული შემოქმედება და მეორე მხრივ, იგი ამ საზოგადოების ცხოვრებას აწესრიგებს. ლ. ჭინჭარაულის განმარტებით „ანდრეზი არის ძველი ცნობა, ზეპირი ამა თუ იმ წესის, ადათის, მომხდარი ამბის შესახებ“ (ჭინჭარაული ა. , 2005, გვ. 46) ანდრეზი რეალური ფაქტის კონსტატაციაა. ისტორიული ანდრეზები რეალურად მომხდარი ფაქტების, კონკრეტული კუთხის თუ ზოგადად ქვეყნის ისტორიული მოვლენის ამსახველია. (ოჩიაური, 2000, გვ. 274-281) ის, რომ ანდრეზად წოდებული თქმულება–გადმოცემა რეალურ ფაქტს უკავშირდება, კარგად ჩანს გამოთქმიდან: *ანდრეზად არ ითქმის/ანდრეზად არ მადის*, ანუ გაუგონარი, უპრეცედენტო ამბავია. (ჭინჭარაული ა. , ხევსურული ლექსიკონი, 2005, გვ. 46) ანდრეზი, როგორც თ. ოჩაური აღნიშნავს, შესაძლოა ეპიკურ თხზულებად გადაიქცეს. ანდრეზის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი ზ. კიკნაძეს მიუძღვის. ის აღნიშნავს, რომ ანდრეზი, რომელიც სინამდვილეს ეფუძნება, საზოგადოების წარსულის ხსოვნის ანუ მისი ისტორიის და მისი რჯულის განმტკიცებას ისახავს მიზნად. (ოჩიაური, 2000, გვ. 274-282) მითში, ტრადიციაში, რწმენა–წარმოდგენაში ასახული ისტორიული ფაქტის შესახებ ბევრის თქმაა შესაძლებელი, რაც მოცემული სტატიის რეგლამენტს აშკარად სცილდება. ამიტომ მხოლოდ ზემოთ მოტანილი რამდენიმე მოსაზრებით შემოვიფარგლები და რეზიუმეს სახით აღვნიშნავ, რომ კვლევისას მითში, გადმოცემაში, ეპიკურ პოემაში მართლაც აწყდები ისტორიის ანარეკლს, თუმცა მისი გამიჯვნა წარმოსახვასა და რეალობას შორის ძნელი გასავლებია, მაგრამ წარმოსახვა, ჩემი აზრით, სწორედაც რომ ისტორიული ფაქტის საზოგადოების მიერ შეფასება ამ ფაქტის

მნიშვნელობიდანაა გამომდინარე, მისითაა განსაზღვრული. რელიგიურ შეხედულებებს, რიტუალს, კულტსაც აქვს ისტორის დაღი, რაც ასევე რთული ამოსაცნობია, თუმცა გარკვეულწილად შესაძლებელი.

ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ უკვე ძვ. წ. აღ. VII–VI საუკუნეებში უნდა დაწყებულიყო არგონავტებთან დაკავშირებული თქმულების ლიტერატურული დამუშავება და მისი წერილობითი ფიქსაცია. თუმცა ზეპირსიტყვიერი ეპოსის სახით იგი ძვ.წ.აღ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე უნდა არსებულიყო. სხვადასხვა კვლევაზე დაყრდნობით ო. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ეს გადმოცემები მიკენურ პერიოდში უნდა შექმნილიყო, ხოლო არგონავტებს შავი ზღვისკენ მიკენურ პერიოდში, ანუ ძვ.წ. XIV–XIII სს–ში უნდა გაეცურათ. (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 151) პატივცემული მეცნიერი სვამს კითხვას: რა ისტორიული ფაქტი უნდა ასახულიყო არგონავტიკაში და შემდეგს ვარაუდობს: ბერძნებს დიდი ხანია სურდათ ზღვით პონტოს ზღვის სანაპიროებამდე მიღწევა, მაგრამ თანამედროვე ბოსფორის სრუტეში თითქოსდა, ე.წ. „მოხეტიალე კლდეების“ ანუ პლანქტების, როგორც მათ ოდისეაში ეწოდებათ, გავლას ვერ ახერხებდნენ; იქ, სადაც ხომალდები და მეზღვაურები იღუპებოდნენ, რის გამოც ეს ადგილი საშიშ ადგილად ითვლებოდა. სწორედ ამ ადგილის მშვიდობიანად გაცურვა უნდა ყოფილიყო ის უდიდესი გმირობა, რაც არგონავტებს მიეწერებოდათ და რამაც ისინი ასე პოპულარულები გახადა; პირველი წარმატებული მოგზაურობა ზღვით და ახალი ქვეყნის აღმოჩენა. (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 145–146, 149, 150, 151) იასონის წინამძღოლობით თითქმის საბერძნეთის ყველა კუთხიდან შეკრებილი გმირები, ფაქტობრივად თავად საბერძნეთი, როგორც ო. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, გამოემართა კოლხეთისკენ არგოთი და ამ გმირული მოგზაურობით გაჭრა გზა შავიზღვისპირეთისკენ. თუმცა ბერძენთა მიერ შავიზღვისპირეთის ისტორიული კოლონიზაცია გაცილებით გვიან დაიწყო. როგორც ო. ლორთქიფანიძე აღნიშნავს შავიზღვისპირეთისკენ ბერძნების ცურვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. „ჯერ კიდევ აქეურ პერიოდში (ძვ.წ.აღ II ათსწლეულის მეორე ნახევაში), როდესაც მოეწყო ლაშქრობა ტროისათვის, რომელიც შავი ზღვის მისადგომებთან იყო განლაგებული. ...ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ძვ.წ. VIII–VII სს–ში, როდესაც იწყება ძველბერძენთა დიდი საკოლნიზაციო მოძრაობა, ე.ი. ბერძენთა განსახლება და ახალი აგრარური და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავიზღვისპირეთში. ამ რთული გზის პირველგამკვლევნი კი სწორედ არგონავტები იყვნენ, რომელთაც გაავრცელეს აგრეთვე პირველი ცნობები შავიზღვისპირეთის შესახებ ბერძნულ სამყაროში, განსაკუთრებით კი მდიდარი და მრავალი სიკეთით აღსავსე კოლხეთის შესახებ. ამიტომაც მიიჩნია ბერძენმა ხალხმა იმთავითვე არგონავთები თავის სათყვანებელ გმირებად, თითმის გმირებს გაუტოლა ისინი...და საუკუნეების მანძილზე ჯეროვან პატივს მიაგებდა მათ გმირობას ახალი საზღვაო გზების გაკვლევასა და ახალი ქვეყნების აღმოჩენაში რომ გამოიხატა.“ (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 150–151) აღსანიშნავია, რომ „არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტროას ომი იყო ბრძოლა შავი ზღვის მისადგომებისათვის.“ (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 150)

ალბათ პირველი, ასე ვთქვათ, ბერძნულ–ქართული მითოლოგიური ურთიერთობებიც ოქროს საწმისის გარშემო განვითრებული მოვლენებით უნდა იწყებოდეს. თუ როგორ განვითარდა აიაში ჩასული არგონავტების ისტორია, ამაზე აქ არ შევჩერდებით, ვინაიდან იგი საყოველთაოდ ცნობილია. მხოლოდ ერთს დავძენთ, იასონი კოლხეთიდან საწმისით და მედეათი იოლკიაში ჩავიდა, გადასცა საწმისი პელიას და არგოთი, თავის თანამგზავრ მეგობრებთან ერთად ბოლოჯერ გაცურა კორინთოს ისთმუსისაკენ, ანუ კორინთოს ყელისაკენ, სადაც გემი პოსეიდონს შესწირა (Robin Hard, The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology,

Taylor & Francis e-Library, 2004, London გვ. 397). (Robin, 2002, გვ. 397)გამოდის რომ, მითოლოგიურად ბერძენთა მიერ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის შემწე ერთ–ერთი ღვთაება ძლევამოსილი პოსეიდონიც იყო. ბუნებრივია მითოლოგიურ სინამდვილეში ზღვის დიდი და ძლევამოსილი ღმერთის შეწევნის გარეშე ვერავინ შეძლებდა ამგვარი ხიფათიანი საზღვაო გზის გადალახვას.

კოლხი აიეტის სამეფო ოჯახის ნათესაური კავშირები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიოს ერთ–ერთ ყველაზე ცნობილ მითოლოგიურ სიუჟეტთან. ასე ვთქვათ, მითოლოგიური დინასტიური ქორწინების შედეგად აიეტის და კირკეს და, პასიფაე, მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი გახდა (ტონია, ნ. კიკნაძე, ზ., 2019, გვ. 17, 131, 200) მინოსი კი, როგორც ცნობილია ძლევამოსილი ლეგენდარული მეფე იყო, სახელგანთქმული კანონშემოქმედი და საზღვაო იმპერიის შემქმნელი. მან პირველმა განავრცო ზღვის მეშვეობით თავისი ძალაუფლება ეგეოსის თქითქმის ყველა კუნძულზე. მისი სახელი კრეტის გამორჩეულ მინოსურ კულტურას უკავშირდება.

ერთხელ, რათა კრეტელებისთვის დაემტკიცებინა, რომ მის გამეფებას ღმერთები უჭერდნენ მხარს (ტონია, ნ. კიკნაძე, ზ., 2019, გვ. 338), მინოსი პოსეიდონის წინაშე წარსდგა ლოცვით. მეფემ წყლებისა და მიწისძვრის ღმერთს შესთხოვა მისთვის შესაფერისი შესაწირი გამოეგზავნა, რათა თავად დიდი ღმერთის საკადრისი სამსხვერპლო ცხოველი არ გააჩნდა. მაშინ პოსეიდონმა მინოსს ზღვიდან ულამაზესი თეთრი ხარი გამოუგზავნა. მეფე ისე მოიხიბლა ხარის სილამაზით, რომ დაენანა მისი შეწირვა და თავის ჯოგში გარია, სანაცვლოდ კი ღმერთს სხვა ხარი შესწირა. სხვა ვერსიით მეფე პოსეიდონს საუკეთესო ხარს სწირავდა თავისი ჯოგიდან, მაგრამ ერთხელაც გამორჩეული, განსაკუთრებული ხარი გაჩნდა. მეფეს დაენანა ამ ხარის ღმერთისთვის შეწირვა (გვ.338). (ტონია, 2019, გვ. 338) განრისხდა პოსეიდონი, მხეცად აქცია ხარი და აფროდიტას დახმარება სთხოვა, რომელმაც დაუოკებელი ვნება შეჰყარა პასიფაეს ხარის მიმართ. დედალოსმა დედოფალს ხის ძროხა გაუკეთა, რომელსაც ხარის ტყავი გადააფარა და მინდორში დადგა. პასიფაეს და ხარს აქ ჰქონდათ ფარული კავშირი, რის შედეგადაც დაიბადა ურჩხული მინოტავრი/მინოტავროსი (ანუ მინოსის ხარი), საზარელი არსება, რომელსაც ხარის თავი და კუდი ჰქონდა, ხოლო სხეული ადამიანის. მინოსმა იგი ლაბირინთში დაამწყვდია. მეფე მინოსს ხარკის სახით აძლევდნენ ჭაბუკებს და გოგონებს, რომელსაც მინოტავრი ნთქავდა. (Hansen, 2004, გვ. 131); (ტონია, ნ. კიკნაძე, ზ., 2019, გვ. 160–161); (Hard, 2004, გვ. 261, 336-338)Robin Hard, The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology, Taylor & Francis e-Library, 2004, London, გვ. 261, 336-338.)

ბრინჯაოს ხანაში პირველი ანუ „ძველი სასახლეების" აგების შემდეგ (ძვ.წ.აღ. 2000წ.) კრეტამ ზღვის მეშვეობით შორეული ინტენსიური ვაჭრობა და ეგეოსის სამხრეთ–აღმოსავლეთით მინოსური ექსპანსიის გავრცელება დაიწყო (Hard R. , 2004, გვ. 46) ამ მხარის მინოსური კოლონიზაციის გამო ანატოლიური მატერიალური კულტურა მინოსურით შეიცვალა. მინოსის კოლონიებს შორის ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა მილეთი. მინოსელებს ამ ნახევარკუნძულის მდებარეობა და მისი სავაჭრო პოტენციალი იზიდავდა, განსაკუთრებით კი ლითონთან მიმართებაში. ეს ადგილი, როგორც მინოსური კოლონია დაარსდა დაახლოებით კრეტაზე ძველი სასახლეების დაფუძნების დროს (ძვ.წ.1800–1750წწ.), რაც ეგეოსის სხვა მხარეებთან შედარებით ძალიან ადრეული ხანაა. (Hard R. , 2004, გვ. 47) მილეთის დაარსების მითებში მილეთის კრეტასთან ძლიერი კავშირი ჩანს. (Hard R. , 2004, გვ. 48)ალან გრივზის თქმით მცირე აზიის სანაპიროზე არ არსებობს ადგილი, რომელიც ასე დამაჯერებლად ავლენდეს მინოსური კულტურის კვალს, როგორც მილეთი. (Hard R. , 2004, გვ. 49) არქეოლოგიიური გათხრებისა და კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მინოსურ კულტურას ძლიერი გავლენა ჰქონდა მილეტზე, რაც შესაბამისად

კოლონიზაციის კვალს გულისხმობს. მილეთი, როგორც გეოგრაფიულად, ასევე კულტურულად ახლო იყო კრეტასთან. (Hard R. , 2004, გვ. 66) ამას ადასტურებს შემდეგი: დაახლოებით 30 A–ხაზოვანი კრეტული წარწერიდან ერთ–ერთი 1995 წელს მილეთში იქნა აღმოჩენილი. (Hard R. , 2004, გვ. 52) გრივზის აზრით კრეტული A –ხაზოვანი დამწერლობა საკულტო დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მილეტში მინოსურ ადმინისტრსაციულ სისტემას იყენებდნენ. არსებობდა დაკრძალვის მინოსური წესი, დასახლება და არქიტექტურა, ჭურჭელი, საქსოვი მოწყობილობა, კედლის მხატვრობა და მინოსური იკონოგრაფია, მიკვლეულია მინოსური ტიპის კულტმსახურების კვალი, მინოსური A – ახაზოვანი დამწერლობა და მისი გამოყენება, იმ ეკონომიკური საარსებო საშუალებების, მეთოდების შეთვისება, რომლებიც მიკენურ კრეტასთნ ასოცირდება. (Hard R. , 2004, გვ. 65, 53) მინოსელების მიერ მილეთის მითიურ დაარსებაზე გვიამბობენ: ეფორუსი (სტრაბონი, 14.1.6.), აპოლოდორუსი, პავსანია, ოვიდიუსი. ყველა მილეტს კრეტაზე მდებარე მითიურ ქალაქ მილატოსს უკავშირებს, რომელიც ჰომეროსს აქვს ნახსენები ილიადაში (2. 647). (Hard R. , 2004, გვ. 67) მინოსელების მიერ მილეთის მითიურ დაარსებაზე გვიამბობენ: ეფორუსი (სტრაბონი, 14.1.6.), აპოლოდორუსი, პავსანია, ოვიდიუსი. ყველა მილეტს კრეტაზე მდებარე მითიურ ქალაქ მილატოსს უკავშირებს, რომელიც ჰომეროსს აქვს ნახსენები ილიადაში (2. 647). (Hard R. , 2004, გვ. 67) მილეტი მინოსური სამყაროს კიდეში მდებარეობდა. (Hard R. , 2004, გვ. 68) სხვა ბერძნული ღმერთების თაყვანისცემასთნ ერთად მილეტთან ახლოს პოსეიდონის დიდი საკურთხეველი იყო აღმართული. (Greaves, 2002, გვ. 86,96) (MILETOS A History, Alan M. Greaves,Routledge, Taylor & Francis group, London and New York, 2002.) რაც შეეხება მილეტს, ფიქრობენ, რომ იგი ნეოლითის პერიოდიდანაა დასახლებული. დასახლება ძირითდად ათენას ტაძრის ტერიტორიას მოიცავდა . (Greaves, 2002, გვ. 42) ბრინჯაოს ხანა არის ის უადრესი პერიოდი, როდესაც მილეტმა მოიპოვა თავისი როლი, როგორც კარიბჭემ, რომელიც ეგეოსურ და ანატოლიურ სამყაროებს აკავშირებდა.

ითვლება, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია მილეტთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ მიზეზით გამოვარჩიეთ იგი მიკენური კოლონიზაციის სხვა მხარეებისგან. მიჩნეულია, რომ ბერძნები შავი ზღვის სანაპიროებზე ძვ.წ. აღ. VIIIს. 30–იან წლებში გამოჩნდნენ, ხოლო კოლონიზაციის პროცესი სკმაოდ ინტენსიური გახდა VIII – VIIსს. მიჯნაზე. ასევე ითვლება, რომ კოლონიზაციის პროცესში ძირითადად იონიის ქალაქები იღებდნენ მონაწილეობას და როგორც ითქვა, მათ შორის განსაკუთრებით მილეტი იყო. (ლომოური, 1962, გვ. 10); (ფიფია, 2013, გვ. 36)(ნ. ლომოური, კოლხური სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 10; ნ. ფიფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში _ ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია) ისტორიის დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თედო დუნდუა, თბილისი, 2013, გვ. 36). სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ შავიზღვისპირეთის და კერძოდ კოლხეთის კოლონიზაციის უმთვრესი მიზეზი მაღალი ხარისხის მეტალის: რკინის, სპილენძის, ოქროს ძიება იყო. ასევე ადრეულ ეტაპზე ბერძნებს სელი, სელის ნაწარმი, მონებიც აინტერესებდათ (მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, მეცნიერება, თბილისი, 1982, გვ. 92), (ინაძე, 1982, გვ. 92) რაც გაჰქონდათ კიდევაც (A. M. Greevs, Miletos A History, Routledge, Taylor & Francis group, London and New York, 2002, p.37). (Greevs, 2002, გვ. 37) ასევე, მოგვიანებით გაჰქონდათ ხე–ტყე, საფეიქრო ნაწარმისთვის საჭირო მასალა და სხვ. (ფიფია, 2013, გვ. 38, 58)

ფიქრობენ, რომ განსაკუთრებით მჭიდრო იყო კოლონიის და მეტროპოლიის რელიგიური კავშირები. ასევე ითვლება, რომ ეს კავშირები, მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობისა ამ ორ მხარეს შორის, მაინც მყარი რჩებოდა. ორაკული საზღვრავდა კოლონიის ზოგად ტერიტორიას, უთითებდა „მრევლს", რომელი მხარე უნდა აეთვისებინა და რომელი ღვთება გაემწესებინა მთავარი თყვანისცემის ობიექტად. (Malkin, 1987, გვ. 74) შესაბამისად კოლონიის მეტროპოლიებში იმ ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, რასაც კოლონისტები. მაგ., ძვ.წ.აღ.Vს–ში ფაზისში მილეტიდან მომავალი აპოლონის კულტი დაარსდა. (ლომოური, 1962, გვ. 64-65) (ნ. ლომოური, კოლხური სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 64–65) ასევე არტემიდასი. (Lordkipanidze, 2000) თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლონიებში ხდებოდა მათი მოდიფიკაცია (გვ. 386–387, Euboean cults and myths outside Euboea:Poseidon and Briareos/Aigaion, Giovanni BOFFA Barbara LEONE, 2017, Art), (Boffa, G.Leone, B., 2017, pp. 386–387) სინკრეტიზაცია ადგილობრივ ღვთაებებთან და რწმენა წარმოდგენებთან. ალბათ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარსაც არ ივიწყებდა. მაგ., ფაზისელები, რომლებიც ძირითდად ქალღმერთ ფასიანეს სცემდნენ თყვანს, რომელიც აპოლონამდელი ადგილობრივი ღვთაება უნდა ყოფილიყო(ნ. ლომოური, კოლხური სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 65, 67). კოლონიზაციის პროცესში რომ რელიგიას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ შავი ზღვის დასაწყისში, სანაპიროებზე ბერძნებს ზევსის ქანდაკება ჰქონდათ აღმართული და აქედან მოყოლებული სხვა დანარჩენი. ამით ბერძნები რეგიონში თავის მყოფობას უსვამდნენ ხაზს. ასევე იმას, რომ მათ შემოიტანეს რეგიონში ცივილიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრაქტიკა და ღირებულებები (David Braund, Greek Religion and Cults in the Black See Region. Godesses in the Bosphoran Kingdom from the Archaic Period to the Byzantine Era, Cambridge Univercity Press, 2018, Cambridge გვ.52) (Braund, 2018, p. 52) როგორც ჰეროდოტე აღნიშნავს, სკვითები თყვანს სცემდნენ ბერძნულ ღვთაებებს საკუთარ ღვთაებებთან წყვილში: უმთავრესად ჰესტიას, შემდეგ ზევსს და დედამიწას (მიიჩნევდნენ, რომ დედამიწა ზევსის ცოლია), შემდეგ აპოლონს და აფროდიტა ურანიას და ჰერაკლეს და არესს. ყველა სკვითი ამათ ეთყვანება, ხოლო სამეფო ფენის სკვითები ასევე სწირავენ შესაწირს პოსეიდონს. (Braund D. , 2008, p. 353)

(გვ. 353, David Braund, Scythian Laughter: Conversations in the Northern Black Sea Region, MeetingS of cultureSin the Black Sea region between conflict and coexistence Edited by Pia Guldager Bilde and Jane Hjarl Petersen, aarhuS uniVerSitY PreSS, 2008).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მილეტში ათენას, აფროდიტეს, აპოლონის, არტემიდას ტაძრები და პოსეიდონის საკურთხეველი იყო (Greevs A. M., 2002, pp. 82, 83, 84, 96) პანიონიონი წმინდა ადგილია მიკალეს მთაზე, რომელიც პოსეიდონ ჰელიკონიონისთვის შეარჩიეს იონიელებმა . (Greevs, 2002, p. 124) პოსეიდონი იონიური ლიგის მფარველი იყო, ამდენად საფიქრებელია, რომ მილეტში მასაც სცემდნენ თაყვანს. მისი ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ეპითეტი ელინურ სამყაროში ტაურეოსია და ერთ–ერთი თვის–*ტაურეონის* სახელიდან გამომდინარე უადრესი დროიდან არსებობდა მილეტში და პონტოს მრავალ კოლონიაში. სტრაბონი ადასტურებს ამ ადრინდელ არსებობას და აღნიშნავს, რომ იონიური მიგრაციიდან მოყოლებული ნელეოსმა პოსეიდონის სახელზე აღმართა საკურთხეველი კონცხზე. არქეოლოგებმა ეს ადგილი დაადასტურეს კონცხ მონოდენდრიზე, მილესის ნახევარკუნძულის სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში, დიდიმადან 7 კილომეტრზე სამხრეთ–დასავლეთით. ეს საკურთხეველი მე–VI საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღეს. არქეოლოგებმა ათენას ტაძრის ჩრდილოეთით

იპოვეს წარწერა, რომელიც პოსეიდონ ჰელიკონიოსის და კიდევ ერთი ღმერთის საკულტო რეგულაციების ტექსტს შეიცავს, სადაც ვკითხულობთ, რომ პოსეიდონს ჰყავდა კულტის მსახური და ჰქონდა სალოცავი და არა ტაძარი. აქვეა მითითებული თუ რა უნდა გაკეთებულიყო ტაურეონის თვეში (გვ. 208–209; 217; 234) Miletos, the Ornament of Ionia A History of the City to 400b.c.e.Vanessa B. Gorman, Ann Arbor, the University of Michigan 2001.". (Gorman, V. B., Arbor, A., 2001, pp. 124, 208–209, 217, 234)

საქართველოში, არქეოლოგიური გათხრებისა და ბერძნული წარწერების მეშვეობით ვიგებთ, რომ ჩვენში თყვანს სცემდნენ აპოლონს, არტემიდას, აფროდიტას ათენას...მაგრამ არ ჩანს პოსეიდონი, რაც ძალზე გასაკვირია. თუმცა შავიზღვისპირეთში, ყირიმში, მილეთელების მიერ დაარსებულ პანტეკაპეუმში აფროდიტესთან ერთად პოსეიდონის თაყვანისცემის კვალიცაა შემორჩენილი. ასევე, ტამანის ნახევარკუნძულის გიგანტური გოლიათების მითოლოგიურ გადმოცემასთან დაკავშირებით, რომელიც ამ კუნძულზე მიწისძვრებს უკავშირდება, არტეფაქტებზე ჩნდება პოსეიდონი (David Braund, Greek Religion and Cults in the Black See Region. Godesses in the Bosphoran Kingdom from the Archaic Period to the Byzantine Era, Cambridge Univercity Press, 2018, Cambridge გვ. 174, 259). (Braund, 2018, pp. 174, 259)

ითვლება, რომ პოსეიდონი ავტოქტონური, ბერძნული ღვთებაა. როგორც ცნობილია, პოსეიდონი ზღვის, ცხენებისა და მიწისძვრის განმგებელი ღვთაებაა ბერძნულ მითოლოგიაში. ველური ცხენების მომთვინიერებელი, გემების გადამრჩენი და ბუნების საშინელი ძალების მრისხანე გამგებელი. ყველა სახის სასტიკ შტორმს ზღვაზე მის ქმედებას უკავშირებდნენ. იყო მეზღვაურების და მეთევზეების მფარველი და შეეძლო მათი განადგურება განრისხების შემთხვევაში. აღელვებდა ზღვებს და არყევდა დედამიწას და მათ სიღრმეებს. გარკვეულწილად, როგორც ხთონური ღვთაებაც, იგი ნაკადულებს და წყაროებს აჩენდა დედამიწის გულიდან. (Robin Hard, The Roughtledge Handbook of Mythology Based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology, Roughtledge Taylor and Fracis Groupe, London, New York, 2004, გვ.99). (Hard R. , 2004, p. 99) ალბათ ის ყველაზე დამანგრეველი ღმერთი იყო უძველეს ღმერთებს შორის, მაგრამ არ იყო ყოველთვის ნეგატიური ძალის მქონე. ის მეზღვაურების და, როგორც ცხენების მომთვინიერებელი, ცხოველების და მეცხენეობის მფარველიც იყო(Mark Cartwright, World History Encyclopedia, Poseidon, https://www.worldhistory.org/poseidon/, ამოღებულია 17.09.21). (Cartwright, 2021) ითვლებოდა, რომ მას წყლის ხარისხის შეცვლაც შეეძლო. მისი დაბადების ადგილად არგოლიკის ყურესთან, დინის კარსტულ წყაროებთან მდებარე გენეზიონი ან გენეთლიონი ითვლება, რაც დაბადებას ნიშნავს. აქ არგოს უძველესი მოსახლეობა პოსეიდონს ცხენებს სწირავდა. არკადიის მუნიციპალიტეტ ნესტანისთან ახლო სოფელ მილიაში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია პოსეიდონ ჰიპიოსისადმი მიძღვნილი მცირე ტაძარი. არკადიაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით რეამ კრონოსისგან, რომელიც მას დაბადებისთანავე შთანთქმას უპირებდა, იმით გადაარჩინა, რომ ცხვრის ტყავში გაახვია და ქმარს კვიცი მისცა შესაჭმელად, იმ მნიშვნელობით, რომ მათი შვილი–პოსეიდონი ცხენად დაიბადა. (Hard R. , 2004, pp. 102,99), (Jordan, 2004, p. 250), (Mariolakos, I., & Mariolakos, D., 2004, pp. 1156, 1147, 1146, 1151)

აღსანიშნავია, რომ პოსეიდონი ცხენებს მითშიც, კულტშიც და რიტუალშიც უკავშირდებოდა. რობინ ჰარდი მიიჩნევს, რომ პოსეიდონი ცხენების ღვთაება მანამ იყო, ვიდრე ის ზღვის გამგებელი გახდებოდა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ შესაძლოა პოსეიდონის ცხენებთან კავშირი განპირობებული იყო იმით, რომ ცხენი იმ ბუნებრივი მოვლენების გამომხატველია, რომლის მართვა არ შეუძლია ადამიანს. ანდა, იმიტომ, რომ ცხენები ხთონურ სამყაროსთან არიან კავშირში და შესაძლოა იმიტომ, რომ ბერძნულ ფოლკლორში

ცხენები წყაროების და ნაკადულების წარმომშობნი არიან. ზოგიერთ მითში მოთხრობილია, რომ ერთ–ერთი ყველაზე დიდი ღმერთი, პოსეიდონი ცხენის სახით გვევლინება და რომ ცხენი მან გააჩინა. ასევე, იგი სამკაპათი წყლებს აჩენდა. (Hard R. , 2004, pp. 99-101); (Nilsson, 1998, pp. 11, 12, 18, 112, 116); (Hard R. , 2004, pp. 99-101, 11, 12, 18, 112, 116)

(Robin Hard, The Roughtledge Handbook of Mythology Based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology, Roughtledge Taylor and Fracis Groupe, London, New York, 2004, გვ.99-101, გვ. 11, 12, 18, 112, 116) თესალიური მითი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ღმერთი პირველი ცხენის, სიზიფუსის მამა იყო. აქვე გავრცელებული მითის თანახმად, ერთხელ პოსეიდონმა ძილის დროს კლდოვან ნიადაგზე თესლი დაღვარა, გაანაყოფიერა დედამიწა და დედამიწისგან პირველი ცხენი–სკიფიოსი გააჩინა. სხვა ვერსიით პოსეიდონმა თავისი სამკაპა დაარტყა დედამიწას და ამით გააჩინა პირველი ცხენი. ანდა, ათენასთან ატიკისთვის ბრძოლისას მოიქნია სამკაპა, რამაც გააჩინა ცხენი. (Nilsson, 1998, p. 102) რადგან ბერძნულ მითოლოგიაში პოსეიდონს მიეწერება ცხენების გაჩენა, ამდენად, მას სწირავდნენ ცხენებს, ყავდათ მის ტაძრებში და ზოგან პოსეიდონისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, მის საპატივცემულოდ ეტლებით რბოლას მართავდნენ. და როგორც მეზღვაურები ზღვაში გასვლის წინ, მეეტლეებიც რბოლის წინ მისგან შეწევნას ითხოვდნენ . როგორც დიომედეს ადამიანის მჭამელი ცხენების ისტორიები გვიჩვენებენ, ბერძნებს განსაკუთრებით ანცვიფრებდათ ცხენების ველური, ნერვული და მძლავრი ბუნება. პოსეიდონი ცხენების ამ ასპექტს განსაკუთრებით უკავშირდება და ოლიმპიაში მას Taraxippos/ტარაქსიპოსის ანუ „ცხენების დამშინებლის"ეპითეტით ეთაყვანებოდნენ. (Bremmer, 2022)(https://brill.com/view/book/edcoll/9789004378742/BP000004.xml

პოსეიდონის სახელზე წელიწადში ორი დღესასწაული იმართებოდა. პოსეიდონის კულტი ბრინჯაოს ხანიდან და მიკენური ცივილიზაციიდან იღებს სათავეს (ძვ.წ. აღ. 15–12სს. დაახ.ძვ.წ.აღ. 1600–400), რაც პილოსში, პელოპონესში და კნოსოსში, კრეტაზე ნაპოვნი B-ხაზოვანი წარწერით დასტურდება. როგორც ჩანს, ეს ღმერთი ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიკენური ღვთაება იყო, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის კულტურაში ზღვაოსნობის დიდ უნარებს. როგორც ცნობილია, იგი პილოსის მთავარი ღმერთი იყო, რომლის კულტს ქურუმი ქალი უძღვებოდა. ბერძენთა სარწმუნოებაში მიჩნეული იყო, რომ პოსეიდონი განსაკუთრებულად კორინთოს ისთმიას მფარველობდა; შესაძლოა იმიტომ, რომ იგი მნიშვნელოვანი საზღვაო გზა იყო. პოსეიდონი განსაკუთრებულ პატივში იყო აქ და ფოკუსირდებოდა ცხენების დოღზე და ისთმიას სხვა სახის პანელინისტურ თამაშებზე, რომლებიც მის საპატივცემულოდ იმართებოდა კორინთოს ახლოს. ისინი ორ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე იმართებოდა. ოლიმპიური თამაშობების მსგავსად, აქ, ჯილდოს მოსაპოვებლად ერთმანეთს ათლეტები, საბრძოლო ეტლები და ცხენოსნები (დოღი) ეჯიბრებოდნენ. თავდაპირველად გამარჯვებულს ფიჭვის გვირგვინი ეძლეოდა, კლასიკურ პერიოდში კი გამხმარი ნიახურის.

როგორც ითქვა, მეორე დღესასწაული, რომელიც პოსეიდონს ეძღვნებოდა, ზამთრის ნაბუნიობისას იმართებოდა. მართალია ბერძნული ხალხური კალენდარი რეგიონების მიხედვით სხვაობდა, მაგრამ, ზოგიერთ მათგანში ზამთრის ნაბუნიობის თვე პოსეიდონის საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდა. ათენსა და ძველი საბერძნეთის ზოგიერთ მხარეში, თვეს, რომელიც დეკემბერ–იანვარს ემთხვეოდა, პოსეიდონის სახელი, პოსიდეა, ერქვა. დღესასწაული ჰალოა ან ალოა ელევსინში დემეტრას, მარცვლეულის, მცენარეულის ქალღმერთს, დიონისეს, ყურძნისა და ღვინის ღმერთს და პოსეიდონს, როგორც ზღვის სანაპიროს მცენარეულის ვეგეტაციის ღმერთს ეძღვნებოდა. ხსენებული დღესასწაულის სახელწოდება ნიშნავს კალოს, ბაღს. დღესასწაული ძირითადად პირველი მოსავლის

დღესასწაული იყო. ელევსინში, როდესაც დემეტრასა და დიონისეს საპატივცემულოდ იმართებოდა, ამ დღესასწაულის შემადგენელი ნაწილი იყო პროცესია პოსეიდონის საპატივცემულოდ. (Robertson, 1984, pp. 1-16); (Gill, 2021); (Robertson, Cambridge Iniversity Press, 2021)1-16. The Winter Solstice in Ancient Greece, https://www.thoughtco.com/greek-winter-solstice-celebrations-120989, ამოღებულია 19.08.21; https://www.cambridge.org/core/journals/classical-quarterly/article/abs/poseidons-festival-at-the-winter-solstice/FE35CA6A539B4B83EBF3BDDDBAA33E6F amoghebulia 19.09.21

ათენელებმა პოსეიდონი დააჯილდოვეს ყოველწლიური დღესასწაულით– პოსიდეით/Posideai, რომელსაც უფრო მეტი საერთო ჰქონდა მიწათმოქმედებასთან, ვიდრე ზღვასთან. ასევე, შუაზამთრის თვეს დაერქვა პოსიდეონი/ Posideon. (Cartwright M. , 2021); (Jordan, 2004, p. 250); (Britanica, 2021); (Jordan M. , 2004, p. 250)

(Mark Cartwright, World History Encyclopedia, Poseidon, https://www.worldhistory.org/poseidon/, ამოღებულია 17.09.21; (Britanika, Isthmian Games ancient Greek festival, https://www.britannica.com/sports/Isthmian-Games, 19.09.2021). (Michael Jordan, Dictionary of Gods and Goddesses, second edition, 2004, Facts On File (გამომცემლობა), New York, გვ. 250).

ბოეტიაში ონჩესტუსს უკავშირდება უცნაური რიტუალი, რომლის დროსაც უმხედრო, ცხენებშებმულ ეტლს (ალბათ საბრძოლოს) მიათრევდნენ. თუ ეტლი დაიმსხვრეოდა, მაშინ მას პოსეიდონს სწირავდნენ.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონს (აღესრულა დაახლოებით 306 წ.) მოიხსენიებს დიდმოწამე თეოდორე ტირონი სხვა ქრისტიანებთან ერთად პონტოს ოლქის (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი მათ შავი ზღვის სანაპიროზე) ქალაქ ამასიაში იმისთვის აწამეს, რომ მხურვალედ დაიცვეს ქრისტიანობა და უარი თქვეს კერპისთვის მსხვერპლი შეეწირათ. დიდმოწამე თეოდორე მეომარი იყო. სამწუხაროდ მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ მისი წამების შესახებ. დიდმოწამე თეოდორე სასტიკი წამების შემდეგ დილეგში ჩააგდეს. აქ მას ლოცვის დროს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და ანუგეშა. გავიდა მცირე ხანი და წმნიდა თეოდორე გამოიყვანეს დილეგიდან, კვლავ სასტიკად აწამეს და კვლავ მოსთხოვეს, უარი ეთქვა ქრისტეზე. როცა ვერასგზით დაიყოლიეს, მმართველმა მისი ცეცხლში დაწვა ბრძანა. დიდმოწამე უშიშრად, ლოცვითა და ღვთის დიდებით გაემართა სასჯელის მისაღებად და თავისით შევიდა ცეცხლში. წმინდანი დაახლოებით 306 წელს იმპერატორ გალერიუსის (305-311 წწ.) მეფობის დროს აღესრულა და ქ. ამასიის მახლობლად ქ. ევქაიტში დაკრძალეს. მოგვიანებით დიდმოწამე თეოდორეს წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში იმ ტაძარში დაკრძალეს, რომელიც მისი სახელობისაა. წმინდანის თავის ქალა იტალიაშია.

საქართველოში დიდმარხვის პირველი ორშაბათიდან შაბათამდე მოყოლებული პერიოდი თედორობის, თევდორობის კვირის სახელითაა ცნობილი. თევდორობა/თერდობა (სამეგრელო), ლითოდრი (სვანეთი), თედორობა (გურია) ცხენების დღესასწაული იყო. ამ დღის რიტუალს მხოლოდ ისინი ასრულებდნენ, ვისაც ცხენები ჰყავდა. შეიძლება ითქვას, რაჭასა და ლეჩხუმში თევდორობა ნათესების, ვენახისთვის განკუთვნილი დღე იყო. ამ დღეს მთელ დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ფორმისა და სახის რიტუალური პურები ცხვებოდა.

სვანეთში არა უმეტეს 12 წლის ბიჭებისთვის ყველა ოჯახი ხორბლის ფქვილისგან ფრინველის, შინაური და გარეული ცხოველის ფორმის რიტუალურ პურებს - ბაციკებს აცხობდა. ამ პურებს მამაკაცები აცხობდნენ.

ქვემო სვანეთში ცხენის ტაბლას ამზადებდნენ. ამ ტაბლით, რომელსაც ლობიოს გული ჰქონდა, სალოცავში ყოველი ოჯახიდან მამაკაცი მიდიოდა, წმ. თევდორეს იხსენიებდა და ცხენების სიმრავლეს შესთხოვდა. ცხენებისათვის განკუთვნილ ლემზირს იქვე ჭამდნენ.

სამეგრელოში თერდობა ცხენების დასალოცი დღე იყო. ამ დღეს, ცხენის გამოსახულების რიტუალურ პურებს აცხობდნენ, მათ ფეხებს, უნაგირს უკეთებდნენ. ცალკე კეცში აცხობდნენ პურს, რომელსაც მოედანი ეწოდებოდა. მას ჭიქით გარკვეულ სახეს უკეთებდნენ, რომელსაც ცხენის კვალს ეძახდნენ. ამ პურებს აწყობდნენ გობზე, რომელსაც კბილებით იღებდნენ, ცხენებივით ჭიხვინებდნენ და ფეხის ქუსლს კედელს არტყამდნენ, თითქოსდა ცხენი წიხლს ჰკრავსო. ასევე იქცეოდა ოჯახის თითოეული წევრი, რის შემდეგაც წმ. თევდორეს ცხენების მომრავლებას შესთხოვდნენ. ბოლოს კვერებს ყველა შეჭამდა. ამას გარდა, ამ დღეს ოჯახის უფროსი თესვის რიტუალსაც ასრულებდა. "ლუკაიამ იმავე საღამოს თერდობის ლოცვა გამართა. გააკეთებინა პურის ცომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და მათრახისა. ეს ყოველივე ხონჩაზე დაელაგებინა. შემდეგ ღვინო გადაასხა, ხონჩა კერის აღმოსავლეთით დადგა, ძგიდეებზე თაფლის სანთლები მიამაგრა და აანთო, ჩაბალახით პირი შეიბურა, ხელები წაიკარწახა, დაოთხდა, რამდენჯერმე ჭიხვინითა და ხვიხვინით გარს შემოუარა ხონჩას, პირით იღებდა ცხენის მოდელს, კარისაკენ მიდიოდა და წიხლებს უშენდა კარს და ნაბუქოდონოსორ მეფესავით ოთხზე შემდგარი ტლინკებს ისროდა და ხონჩიდან ღვინოს სვამდა." (გამსახურდია, 2013, გვ. 88)(k. gamsaxurdia, mtvaris motaceba, gv. 88, https://eon.ge/wp-content/uploads/2021/05/mtvaris-motaceba.pdf)

თამაზ ჯოლოხავა მეგრული ადათ-წესების აღწერისას აღნიშნავს, რომ ვინაიდან ცხენს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეგრელის სამეურნეო და სამხედრო ცხოვრებაში, ამიტომ მათი დაცვა-გამრავლება მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს ხონჩით და ცხენის გამომცხვარი ქანდაკებით წმ.თედორეს ცხენების გამრავლებას და მათ ქურდებისა და ნადირისაგან დაცვას შესთხოვდნენ. (ჯოლოხავა, 2022).

(თამაზ ჯოლოხავა „მეგრული ადათ - წესები" თბ. 2004 წ. გვ.197-198, http://saunje.ge/index.php?id=1597&option=com_content&lang=ka)

"მე-19 საუკუნეში ვინაც კი გურიაში გაივლიდა ყველა აღნიშნავდა ჭიშკრებთან გამოფენილ ცხენის თავის ქალებისა და ნალების სიმრავლეს, რომელსაც მოსახლეობა ცხენისა და შინაური ცხოველების ავი თვალისა და ავდმყოფობისაგან დაცვის დანიშნულებით იყენებდა, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თედორეს კულტთან."- წერს თავის ინტერნეტ სტატიაში კახა ჩავლეიშვილი (ჩავლეიშვილი, 2022) (http://guriismoambe.com/archives/18333). გურიაშიც თედორობა ცხენების დღე იყო. ხალხური გადმოცემის მიხედვით ერთ დროს ცხენები ზღვებში ცხოვრობდნენ. პირველი, ვინც ცხენი ხმელეთზე გამოიყვანა, წმ. თევდორე იყოო. მას ცხენისთვის პირობა მიუცია, დაუჭედავი და ყურგაჭრილი არასდროს ივლიო, ამბობდა ხალხი. გურიაში ცხენისთვის ყურის გაჭრა ცოდვა იყო. ვინაიდან წმ. თედორე ცხენების მფარველად მიაჩნდათ, ხალხმა მისი დღესასწაული ცხენებს დაუკავშირა. ამ დღეს ანთებდნენ სანთლებს, აკმევდნენ საკმეველს, ილოცებდნენ და წმ. თედორეს შესთხოვდნენ ცხენების გამრავლებასა და

სიმრთელეს. ხორბლის ფქვილისგან დიდ რიტუალურ კვერებს აცხობდნენ, რომლებიც სიმბოლურად მინდორს განასახიერებდა. მათზე ცომისგან გამოძერწილ შეკაზმულ ცხენებს აყენებდნენ. ცომისგან იმდენ ცხენს ძერწავდნენ, რამდენიც ისინი ოჯახს ჰყავდა. გამომცხვარ კვერებს და ცხენებს დებდნენ გობში და ღვინოს ისე ასხამდნენ, რომ პურები და ქანდაკებები დაეფარა. ამის შემდეგ ბიჭები ზურგზე ხელებშეკრულები რიგრიგობით მიდიოდნენ გობთან, პირით პურის ცხენს იღებდნენ და ჭამდნენ, თან ცხენებს განასახიერებდნენ: ფეხებს კედელს ურტყამდნენ და ჭიხვინებდნენ. ზოგიც ფეხით კარს აღებდა და გარეთ გადიოდა.

როგორც ითქვა, დას. საქართველოს რეგიონებისთვის დამახასიათებელი საგაზაფხულო დღესასწაული თედორობა საქონლისა და მოსავლისთვის განკუთვნილ დღესასწაულად ითვლებოდა. სვანეთში, გურიასა და სამეგრელოში იგი განსაკუთრებით ცხენების გამრავლებას უკავშირდებოდა. ამ სამი რეგიონიდან გურული და მეგრული თედორობა მკვეთრი თავისებურებითა და მსგავსებით გამოირჩევა. რიტუალი, რომელიც ამ დღეს აქ სრულდებოდა, ერთი შეხედვით უცნაური და გაუგებარია. სწორედ ამ უცნაური რიტუალის კვლევამ მიგვიყვანა ბერძნულ-ქართულ მითოლოგიურ ურთიერთობებთან. რიტუალი, რომლის დროსაც მოზრდილ რიტუალურ პურზე დადებული, ცომისგან გამოქანდაკებული ცხენები გობში იდებოდა, ღვინით ანუ სითხით იფარებოდა და შემდგომ რიტუალის მონაწილე მამაკაცები (ქალები არ მონაწილეობდნენ) პირით, ხელშეუხებლად, იღებდნენ ცომის რიტუალურ ცხენებს, ჭამდნენ და ცხენებს განასახიერებდნენ, იმ რიგის რიტუალებს უნდა განეკუთვნებოდეს, რომლებიც ერთგვარად მათ უკან არსებული მითის სარკისებურ ასახვას, მის განსახიერებას წარმოადგენენ. ამ ეტაპზე ძნელია ჩემთვის იმის თქმა თუ რომელი კონკრეტული მითი უდევს საფუძვლად მოცემულ რიტუალს, რომელიც შესაძლოა გამქრალიცაა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ცხენების წყლიდან, ზღვიდან რიტუალურ დაბადებას განასახიერებს. ცხენების წყლიდან დაბადებამ მიგვიყვანა ბერძნულ მითოლოგიამდე და პოსეიდონამდე, ზღვის და ცხენების მშობელ ღმერთამდე. როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, ისტორიულად და მითოლოგიურად შავიზღვისპირეთის და კერძოდ კოლხეთის ათვისებაში, ბერძნულ-ქართულ მითოლოგიურ ურთიერთობებში პოსეიდონს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეთმობა, თუმცა ქართულ სინამდვილესთან კავშირში არც არქეოლოგიურად და არც რწმენა-წარმოდგენების გზით ეს ცხადად არ ჩანს, არადა, ძნელი წარმოსადგენია ზღვისპირა, სანაოსნო ქვეყანას გვერდი აევლო ამ ძლიერი და ძლევამოსილი ღმერთის თყვანისცემისთვის, რომლის შეწევნა პრაგმატული თვალსაზრისით ასე ჭირდებოდა ზღვისპირა მოსახლეობას, მით უფრო იმ ზღვის, რომელიც განთქმული იყო თავისი მოულოდნელი ქარბუქებით. ღმერთის, რომელიც მითოლოგიის გზით მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთს და მისი ათვისების პროცესს. ამდენად, გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სვანური და განსაკუთრებით გურულ-მეგრული თევდორობის წინაქრისტიანული ფესვები უნდა უკავშირდებოდეს პოსეიდონის თაყვანისცემას, როგორც ზღვიდან, წყლიდან ცხენების მშობელს და მათ მფარველ ღვთაებას. ამასთანავე, პოსეიდონი ორიდან ერთ-ერთი დღესასწაულიც გაზაფხულზე იმართებოდა, როგორც თევდორობა და ეს ღვთაება ნათესების მფარველადაც ითვლებოდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ფლორის. მითოლოგიურად იგი წყლის ხარებთანაც იყო დაკავშირებული, რასაც აჭარაში გავრცელებულ წყლის, გამანაყოფიერებელი საკრალური უნარის მქონე ტბის ხარისა და ცხენის მითოლოგემასთანაც მივყავართ, რომლებიც, თავის მხრივ, წყლიდან ამოდიან. (თანდილავა, 1996, გვ. 47-48)

გამოყენებული ლიტერატურა

Gorman, V. B., Arbor, A. (2001). *Miletos, the Ornament of Ionia A History of the City to 400b.c.e.* Michigan: the University of Michigan.

Boffa, G.Leone, B. (2017). Euboean Cult and Myths Outside Euboea: Poseidon and Briareos/Aigaion. *Art*, 381.

Braund, D. (2008). *Scythian Laughter: Conversations in the Northern Black Sea Region, Meetings of Cultures in the Black Sea Region Between Conflict and Coexistence .* Aarhua : Aaarhus university Press.

Braund, D. (2018). *Greek Religion and Cults in the Black See Region. Godesses in the Bosphoran Kingdom from the Archaic Period to the Byzantine Era .* Cambridge : Cambridge Univercity Press.

Bremmer, J. N. (15 04 2022 г.). *BRILL.* Получено из 'Effigies Dei' in Ancient Greece: Poseidon: https://brill.com/view/book/edcoll/9789004378742/BP000004.xml

Britanica. (19 09 2021 г.). Получено из Isthmian Games Ancient Greek Festival: https://www.britannica.com/sports/Isthmian-Games

Cartwright, M. (17 09 2021 г.). *World History Encyclopedia .* из Poseidon: https://www.worldhistory.org/poseidon/

Gill, N. (19 08 2021 г.). *ThoughtCo.* The Winter Solstice in Ancient Greece: https://www.thoughtco.com/greek-winter-solstice-celebrations-120989

Gorman, V. B. (2001). *Miletos, the Ornament of Ionia a History of the City to 400b.c.e.* Michigan : the University of Michigan .

Greaves, A. M. (2002). *MILETOS A History.* London and New York,: Routledge, Taylor & Francis group.

Hansen, W. (2004). *Handbook of Classical Mythology.* Santa Barbara, California, : ABC CLIO.

Hard, R. (2004). *The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology.* London: Taylor & Francis e-Library.

Jordan, M. (2004). *Dictionary of Gods and Goddesses.* New York: Facts On File .

Lordkipanidze, O. (2000). *Phasis, the River and the City in Colchis. .* Stuttgart: Steiner, 2000.

Malkin, I. (1987). *Religion and Colonisation in Anciant Greece. .* Leiden : E.J. Brill .

Mariolakos, I., & Mariolakos, D. (2004). THE ARGON FIELD IN ARCADIA, THE SINKHOLE OF NESTANI VILLAGE, GOD POSEIDON AND THE SUBMARINE DINI SPRINGS IN THE ARGOLIC GULF (PELOPONNISOS, GREECE). A GEOMYTHOLOGICAL APPROACH OF THE POSEIDON'S BIRTH. *Bulletin of the Geological Society of Greece, 36 (3)*, 1146-1153.

Nilsson, M. P. (1998). *Greek Folk Religion.* Pennsylvania: University of Pennsylvania Press.

Robertson, N. (1984). Poseidon's Festival at the Winter Solstice. *The Classical Quarterly, New Series, Vol. 34, No. 1* , 1-16.

Robertson, N. (17 09 2021 г.). *Cambridge Iniversity Press.* Poseidon's Festival at the Winter Solstice: https://www.cambridge.org/core/journals/classical-quarterly/article/abs/poseidons-festival-at-the-winter-solstice/FE35CA6A539B4B83EBF3BDDDBAA33E6F

Robin, H. (2002). *The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology.* London : Taylor & Francis e-Library.

გამსახურდია, კ. (19 09 2013 г.). *მთვარის მოტაცება.* თბილისი: https://eon.ge/wp-content/uploads/2021/05/mtvaris-motaceba.pdf. Получено из https://eon.ge/wp-content/uploads/2021/05/mtvaris-motaceba.pdf

თანდილავა, ზ. (1996). *წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი.* ბათუმი: აჭარა.

ინაძე, მ. (1982). *აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

ლომოური, ნ. (1962). *კოლხური სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია.* თბილისი: თსუ.

ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი: თსუ.

ოჩიაური, თ. (2000). ანდრეზი და სინამდვილე. *ქართველური მემკვიდრეობა, IV* (стр. 274-282). ქუთაისი: ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ტონია, ნ. კიკნაძე, ზ. (2019). *მითოლოგიური ენციკლოპედია.* თბილისი: ბაკმი.

ფიფია, ნ. (2013). *ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში _ ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია).* თბილისი: თსუ.

ჩავლეიშვილი, კ. (16 04 2022 г.). *გურიის მოამბე.* Получено из რატომ იყო გურიაში ცხენის თავებისა და ნალების სიმრავლე.: http://guriismoambe.com/archives/18333

ჭინჭარაული, ალ. (2005). *ხავსურული ლექსიკონი.* თბილისი: "ქართული ენა".

ჯოლოხავა, თ. (16 04 2022 г.). *ჩვენი საუნჯე.* Получено из „მეგრული ადათ - წესები“ : http://saunje.ge/index.php?id=1597&option=com_content&lang=ka

References

Boffa, G.Leone, B. (2017). *Euboean Cult and Myths Outside Euboea: Poseidon and Briareos.* Aigaion: Art.

Braund, D. (2008). *Scythian Laughter: Conversations in the Northern Black Sea Region, Meetings of cultures in the Black Sea region between conflict and coexistence .* Aarhus: Aarhus University Press.

Braund, D. (2018). *Greek Religion and Cults in the Black See Region. Godesses in the Bosphoran Kingdom from the Archaic Period to the Byzantine Era .* Cambridge : Cambridge University Press.

Bremmer, J. N. (2022 , 04 15). *Brill.* Retrieved from Effigies Dei' in Ancient Greece: Poseidon: https://brill.com/view/book/edcoll/9789004378742/BP000004.xml

Cartwright, M. (2021, 09 17). *Poseidon.* Retrieved from Mark Cartwright, World History Encyclopedia: https://www.worldhistory.org/poseidon/, taken 09. 17.21

Ch'inch'arauli, a. (2005). *Khevsuruli leksik'oni.* Tbilisi: "kartuli ena".

Gamsakhurdia, k. (2013 , 09 2019). *Mtvaris mot'atseba*. Retrieved from https://eon. Ge/wp-content/uploads/2021/05/mtvaris-motaceba. Pdf

Gorman, V. Arbor, A. (2001). *Miletos, the Ornament of Ionia a History of the City to 400b.c.e.* Michigan: The University of Michigan.

Greaves, A. (2002). *Miletos A History.* London and New York,: Routledge, Taylor & Francis group.

Hansen, W. (2004). *Handbook of Classical Mythology.* Santa Barbara, California: ABC CLIO.

Hard, R. (2004). *The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology.* London: Taylor & Francis e-Library.

Inadze, M. (1982). *Aghmosavlet shavizghvisp'iretis berdznuli k'olonizatsia.* Tbilisi: Metsniereba.

Isthmian Games ancient Greek festival. (2021, 09 19). Retrieved from Britanika: https://www.britannica.com/sports/Isthmian-Games

Jolokhava, t. (2022, 04 16). *megruli adat - ts'esebi* . Retrieved from Chveni saunje: http://saunje. Ge/index. Php? Id=1597

Jordan, M. (2004). *Dictionary of Gods and Goddesses, second edition.* New York: Facts On File .

Lomouri, n. (1962). *K'olkhuri sanap'iros berdznuli k'olonizatsia.* Tbilisi: tsu.

Lortkipanidze, O. (2000). *Phasis, the River and the City in Colchis.* Stuttgart: Steiner.

Lortkipanidze, O. (2002). *Dzveli kartuli tsivilizatsiis sataveebtan.* Tbilisi: Tbilisi State University.

Malkin, I. (1987). *Religion and Colonization in Ancient Greece.* Leiden, New York, Kobenhaven, Koln: E.J. Brill (gam.-aa).

Mariolakos, I., & Mariolakos, D. (2004). THE ARGON FIELD IN ARCADIA, THE SINKHOLE OF NESTANI VILLAGE, GOD POSEIDON AND THE SUBMARINE DINI SPRINGS IN THE ARGOLIC GULF

(PELOPONNISOS, GREECE). A GEOMYTHOLOGICAL APPROACH OF THE POSEIDON'S BIRTH. *Bulletin of the Geological Society of Greece, 36(3)*, pp. 1146-1153.

Nilsson, M. (1998). *Greek Folk Religion.* Pennsylvania : University of Pennsylvania Press.

Ochiauri, t. (2000). Andrezi da sinamdvile. *Kartveluri memk'vidreoba, IV.*, 274-282.

Pipia, n. (2013). *Elinuri eksp'eriment'i dasavlet sakartveloshi _ berdznuli akhalshenebi (genezisi, ist'oria).* Tbilisi: tsu.

Robertson, N. (2021 , 08 19). *The Winter Solstice in Ancient Greece .* Retrieved from ThoughCo: https://www.thoughtco.com/greek-winter-solstice-celebrations-120989

Robertson, N. (2021, 09 19). *Poseidon's Festival at the Winter Solstice.* Retrieved from Cambridg University Press: https://www.cambridge.org/core/journals/classical-quarterly/article/abs/poseidons-festival-at-the-winter-solstice/FE35CA6A539B4B83EBF3BDDDBAA33E6F

Robin, H. (2004). *The Routledge Handbook of Greek Mythology based on H.J. Rose's Handbook of Greek Mythology.* London: Taylor & Francis e-Library.

T'onia, n. K'ik'nadze, z. . (2019). *Mitologiuri entsik'lop'edia.* Tbilisi: bak'mi.